



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #022/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ა.კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ პ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატმა ა. კ.-ის (შემდგომში მოპასუხე მხარე) საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. განცხადებაზე პასუხის მიღების შემდეგ ადვოკატმა მარწმუნებლის სახელით საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი მოწინააღმდეგე მხარისა და მისი შვილის წინააღმდეგ. ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარის შვილის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობიდან გამომდინარე, საჯაროდ გაავრცელა სასამართლო შეტყობინება რუსეთში მხარის სავარაუდო საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გავრცელებულ გაზეთში. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა უკანონოდ მოიპოვა მის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, აღნიშნული სარჩელის აღძვრამდე მოწინააღმდეგე მხარესა და ადვოკატის კლიენტს შორის უკვე არსებობდა სხვა სამოქალაქო დავა. შესაგებელში, ამ დავის ფარგლებში, მოსარჩელის მიმართ მითითებული იყო შემდეგი სიტყვები - „მოსარჩელის არაჯანსაღი და არაადეკვატური დამოკიდებულება“, რაც მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, მის მიმართ გამოხატულ შეურაცხყოფელ განცხადებას წარმოადგენდა. ადვოკატის განმარტებით, შესაგებელი შედგენილი იყო მისი კლიენტის მიერ, რომელსაც ხელს აწერდა მხოლოდ კლიენტი. საჩივრის ავტორის მითითებით, შესაგებელი წარადგინა ადვოკატმა კლიენტის სახელით და ვინაიდან იგი არის შესაგებლის ავტორის წარმომადგენელი, სოლიდარულად უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა საჩივრის ავტორის შეურაცხყოფისათვის.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა ემორჩილებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და მოქმედებდეს მის შესაბამისად. ადვოკატის მიერ სარჩელზე თანდართულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდიდან ამოღებული სარეგისტრაციო განცხადებები. მოწინააღმდეგე მხარის მისამართი და პირადი ნომერი ხელმისაწვდომი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე ზემოაღნიშნული სარეგისტრაციო განცხადებების საფუძველზე. ადვოკატის მიერ სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართვის მიზანს წარმოადგენდა სარჩელის შეტანის დროს არსებული მდგომარეობის დაზუსტება. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია. აღნიშნული გამორიცხავს ადვოკატის მიერ ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების ფაქტს. საჯარო შეტყობინების რუსეთში გავრცელებით ადვოკატს არ დაურღვევია კლიენტის კანონიერი საშუალებით დაცვის პრინციპი, რადგან ადვოკატმა, როგორც მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა, მისი ვალდებულებიდან გამომდინარე, ისარგებლა სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილით მისთვის მინიჭებული უფლებით. ადვოკატის მარწმუნებლის მიერ შესაგებელში დაფიქსირებული სიტყვები - „მოსარჩელის არაჯანსაღი და არაადეკვატური დამოკიდებულება“ ექვევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რადგან არ არის შეურაცხყოფელი და არ ლახავს პირის

¹ <https://gba.ge/pdf/5c519966e6b1a.pdf/5c519966e6b1a.pdf>

ღირსებას. აღნიშნული ფრაზა გამოყენებულია შემდეგ კონტექსტში: „სადაო საკითხებისადმი მოსარჩელის არაჯანსაღი და არაადეკვატური დამოკიდებულება, რაც მისი მხრიდან ნებისმიერ შემთხვევაში კონფლიქტის პროვოცირებას იწვევს, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელს ხდის მასთან კონსტრუქციული დიალოგის წარმართვას.“ მოცემული ფრაზის მიზანია, სადაო საკითხისადმი მოსარჩელის მიდგომის გაკრიტიკება და არა მოსარჩელის შეურაცხყოფა.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მხრიდან დარღვევულად არ მიიჩნია კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვისა და პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება.

განსხვავებული აზრი

საქმეში წარმოდგენილი 22.06.2010 წლით დათარიღებული ორდერი იძლევა ადვოკატის მიერ აპეკის 6.1. მუხლის შესაძლო დარღვევის გამო დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ მოუთხოვია დისციპლინური დევნის აღძვრა ზემოაღნიშნული საფუძვლით აღსანიშნავია, რომ დისციპლინური საქმისწარმოება გამოირჩევა კომისიის ფართო ინკვიზიციური უფლებამოსილებით. კერძოდ, დისციპლინური დევნის აღძვრისას კომისია გადაწყვეტილების მიღებისას საქმეში არსებულ გარემოებებს აფასებს და არ არის შეზღუდული განმცხადებლის მოთხოვნებითა და პრეტენზიებით. ეთიკის კომისიას ცალსახად აღიარებული აქვს, რომ კლიენტის დაცვისას ყველა ეტაპზე ადვოკატმა არ უნდა დაარღვიოს კანონი ან პროფესიული ვალდებულებები. ადვოკატმა 22.06.2010 თარიღში გასცა ორდერი, სადაც მითითებულია საქმის მხარეები, მაგრამ არ არის მითითებული, თუ რომელი პირის დასაცავად არის გაცემული აღნიშნული ორდერი, რომელსაც წარადგენს ადვოკატი. ორდერი, სადაც მითითებულია საქმეში მონაწილე ყველა მხარე, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეც, წარმოშობს ალბათობას, რომ ორდერის ადრესატმა დაუშვას, რომ ადვოკატი წარმოადგენს ყველა პირს, რაც მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის უფროსმა შეცდომით მიიჩნია, რომ ადვოკატი წარმოადგენდა ორდერში მითითებულ პირებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარესაც და გასცა მისი პერსონალური მონაცემები, კანონით კი აკრძალულია მესამე პირზე სხვა პირის პერსონალური მონაცემების გაცემა ამ პირის თანხმობის გარეშე. შესაბამისად, იმ პირის (კლიენტის) მიუთითებლობა ორდერში, რომლის სახელითაც ხორციელდება საპროცესო მოქმედება, წარმოადგენს ორდერის სავალდებულო რეკვიზიტის მიუთითებლობას, ხოლო ზემოაღნიშნული ორდერი ეწინააღმდეგება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტს. საპროცესო კოლეგიის კომპეტენციას სცილდება იმსჯელოს, აღნიშნული გაკეთებულია ადვოკატის მიერ განზრახ, თუ უბრალო გაუფრთხილებლობით. აღნიშნული განხილვის კოლეგიის კომპეტენციას მიეკუთვნება. თუმცა, ამ საკითხის გადაუწყვეტლადაც ცხადია აუცილებლობა იმისა, რომ ორდერი შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვას, რომლის მიხედვითაც ორდერში გარკვევით უნდა იყოს მითითებული პირი, რომელსაც წარმოადგენს ადვოკატი.